

მირანდა გობიანი,
თინათინ მუხომიანი

ქალთა ორატორული ხელოვნების სოციოლინგვისტური და ფსიქოლოგიური ანალიზი

სოციოლინგვისტიკა ენასა და საზოგადოებას განიხილავს, როგორც ცალკეული სტრუქტურების ერთიანობას, არკვევს, როგორი ურთიერთობაა ენობრივ სისტემასა და სოციალურ სტრუქტურებს შორის. ენის გვერდით დგება გარეენობრივი ფაქტორების ენაზე ზემოქმედების კვლევის საკითხი (სქესი, ასაკი, პროფესია, სოციალური მდგომარეობა და ა.შ.). საცნაურია, რომ გარეენობრივი პარამეტრების ურთიერგადაკვეთა თუ ურთიერშეხება ქალისა და მამაკაცის ენაში განსხვავებულად აისახება, რაც განაპირობებს ენათმეცნიერთა დაინტერესებას გენდერული ლინგვისტიკით. საქართველოში ქალისა და მამაკაცის ვერბალური ენის კვლევას სულ ახლახან ჩაეყარა საფუძველი, შესაბამისად, ბევრი რამ მასში დაუზუსტებელია და მხოლოდ შიპოთეზების დონეზე არსებობს. არსებული მასალა კი საკითხის განზოგადებისათვის, ჭერჭერობით, არასრულყოფილია. ქართული საზოგადოების მზარდი ინტერესი გენდერული პრობლემებისადმი თავისთავად გამოიწვევს ენათმეცნიერთა დაინტერესებას სოციალურად განპირობებული ენობრივი სხვაობების კვლევისადმი, რაც არ გამორიცხავს საქართველოში საგნის „მოდერნება სოციალური სქესის შესახებ“ თეორიული და პრაქტიკული საუნივერსიტეტო კურსების დანგრევის შესაძლებლობას. დასახელებული საგანი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასში ზდება სხვადასხვა პედაგოგიური საბაზისო დისციპლინების ინტეგრაცია: ისტორიული პედაგოგიკა, ემპირიული პედაგოგიკა, სასკოლო პედაგოგიკა, სოციალური პედაგოგიკა, პროფესიული პედაგოგიკა.

უმეტეს სოციოლინგვისტურ და დიალექტოლოგიურ ნაშრომებში კატეგორია „სქესი“ მჭიდრო კავშირშია სოციალური ფენების კატეგორიებთან და კრიტერიუმებთან, რადგან სქესი არქარის მხოლოდ ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური სიდიდე, ის აგრეთვე სოციალური სიდიდეა. სოციალური სქესი, იგივე, გენდერი, ფლობს გარკვეულ ენობრივ საშუალებებს საკუთარი სოციალური მდგომარეობის გამოსახატავად. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქალთა სამეტყველო ქცევების სოციოლინგვისტური და ფსიქოლოგიური ანალიზი.

არსებობს მოსაზრება, რომ ქალები როგორც ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, ასევე მორფოლოგიურ-სინტაქსურ სიბრტყეზე უფრო ახლოს დგანან სტანდარტულ ენობრივ განზომილებებთან, ვიდრე მამაკაცები. სოციოლინგვისტი ნ. ლადარაია ამ ფაქტს ხსნის იმით, რომ ქალები მაღალი ენობრივი ფორმების გამოყენებით ცდილობენ უფრო ადვილებულნი იყვნენ საზოგადოებაში, რადგან სალიტერატურო ენაზე საუბარი ყოველთვის გაიგება, როგორც კომპეტენტურობა და ინტელიგენტურობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა მაღალი მგრძნობელობა პრესტიჟული ენობრივი ფორმებისადმი იკლებს სოფლებში. აქ შეიმჩნევა კონსერვატორული დიალექტური საუბრის მანერა. მიდრეკილება სტანდარტისკენ უფრო ძლიერია ქალაქულ ქალებში. თუმცა, საერთო ჯამში, ხელთ არსებული მასალებით დასტურდება, რომ ყველა ფენის ქალი უფრო დიდი რაოდენობით იყენებს პრესტიჟულ ენობრივ ფორმებს, ვიდრე მამაკაცები. ცხრილში მოცემულია

ქალთა და მამაკაცთა მიერ პრესტიჟული ენობრივი ფორმების გამოყენების პროცენტული აღნუსხვა ჩვენ მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევების მიხედვით, სადაც თვალსაჩინოა, რომ საშუალო ფენის ქალები უფრო მეტად იყენებენ სტანდარტულ გამოთქმებს, ვიდრე მაღალი ფენის მამაკაცები.

	მამაკაცი	ქალი
საშუალო ფენის ზედა ნაწილი	69.00 %	80.00 %
საშუალო ფენის ქვედა ნაწილი	52.25 %	71.25 %
მუშათა ზედა ფენა	53.25 %	55.00 %
მუშათა ქვედა ფენა	50.00 %	53.00 %

ქალის მეტყველება მდიდარია ენობრივი ცვლადებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელი ემპირიული კვლევები ქართულ ენათმეცნიერებაში ნაკლებად მოიპოვება. ძირითადად ხდება უბრალოდ აღნიშვნა იმისა, რომ კატეგორია „ქალი“ მრავლისმომცველია. ქალთა ენობრივი ცვლა კი, გარდა სოციოლოგიურისა, ფსიქოლოგიური პარამეტრებითაც განისაზღვრება.

სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, განსხვავება ქალთა და მამაკაცთა ვერბალურ ენაში კარგად ჩანს ისეთ ასაკში, როცა საზოგადოებრივად სანქცირებული სექსუალური აქტივობა დიდ როლს თამაშობს (20-დან 50 წლამდე). ამ ასაკში განსაკუთრებით დიდია განსხვავება დიალექტის გამოყენებაში. არსებობს მოსაზრება, რომ ქალების მიერ დიალექტის შეზღუდულად გამოყენების ტენდენცია აღნიშნულ ასაკში კავშირშია, ერთი მხრივ, ბავშვების აღმზრდელით საქმიანობასთან, მეორე მხრივ, იმ დიდ როლთან, რომელსაც თამაშობს ჰაბიტუალური სქესობრივი მარკირება. ქართულ კულტურებში „არასტანდარტი“ ასოცირდება მამაკაცურობასთან, სწორედ ამიტომ ქალი ცდილობს იყოს სტანდარტული, რათა არ დაკარგოს ქალურობა.

მოხუცებულობის ასაკში ქალში მატულობს დიალექტის გამოყენების სიხშირე. ამ ასაკში აღარ ხდება ბავშვების აღზრდა, ქალში დაქვეითებულია სექსუალური აქტივობა და ნაკლებია სურვილი იყოს ქალური, შესაბამისად, სტანდარტული. ქვემოთმოყვანილ ცხრილში მოცემულია დიალექტის გამოყენების პროცენტული მაჩვენებლები სქესის, ასაკის და სიტუაციის მიხედვით:

	16-29 წლის	30-44 წლის	45-59 წლის	60-ზე ზემოთ
ოჯახში	%	%	%	%
ქალი	85.7	80.6	81.1	88.5
კაცი	75.0	75.6	81.1	88.5
სამეგობრო წრეში				
ქალი	68.3	63.1	73.1	75.0
კაცი	76.5	77.9	79.2	81.1
სამუშაო ადგილზე				
ქალი	42.9	39.8	40.5	34.4
კაცი	58.3	59.3	65.6	44.4

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ქალები დიალექტს უფრო მეტად იყენებენ ოჯახურ გარემოში, ვიდრე მამაკაცები. მეგობრულ წრეში ნაკლებად იყენებენ დიალექტს, მაშინ როცა მამაკაცთა მეტყველება ოჯახსა და სამეგობრო წრეში ძირითადად არ განსხვავდება. სამუშაო ვითარებაში ორივე სქესს აქვს მიდრეკილება სტანდარტისაკენ, მაგრამ უფრო მეტად ქალს. მიღებული დასკვნები ეწინააღმდეგება იმ თეზისს, რომ ქალი ბავშვების აღზრდის პროცესში ნაკლებად საუბრობს დიალექტზე. ოჯახურ გარემოში ქალი არასტანდარტულია. ვფიქრობთ, ეს იმით აიხსნება, რომ ქალში დიდია სურვილი, საჯარო სიტუაციებში შეესატყვისებოდეს ქალურობის ნიმუშს. სახლში იგი განტვირთულია, მოშვებულია და საკუთარ მეტყველებას ნაკლებად აკონტროლებს.

არსებობს მოსაზრება, რომ მამაკაცები უფრო კარგი ორატორები არიან, ვიდრე ქალები. თუმცა სინამდვილეში ორივე მხარეს აქვს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები.

საქართველოში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს რიტორიკის სახელმძღვანელო ქალებისათვის. არადა ის საკომუნიკაციო რჩევები, რასაც გვთავაზობს მჭევრმეტყველების თეორია, გასათვალისწინებელია თუნდაც იმისათვის, რომ გაგვიადვილდეს ურთიერთგაგებინება და, შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებულება მოსაუბრე პარტნიორთან როგორც პროფესიული, ისე კერძო თუ პირადი ურთიერთობის დროს. დამხმარე ვერბალური თუ არავერბალური საშუალებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც დიდი აუდიტორიის წინაშე, აგრეთვე ჩვეულებრივი საუბრების დროს. საუბარი ხომ მოკლე მოხსენებათა თანმიმდევრობაა. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ შევებოთ იმ სირთულეებს, რაც ხელს უშლის ქალთა უმეტესობას იყოს კარგი ორატორი და შემოვთავაზოთ რჩევები ამ სირთულეების დასაძლევად, კერძოდ, რჩევები, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარიმართოს, მაგალითად, მოხსენება, როგორ მოვაბდინოთ სასურველი ზეგავლენა მსმენელზე. მოსაუბრე პარტნიორზე და ა.შ.

ქალებისათვის მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო სტრატეგიების შესწავლა, რათა საკომუნიკაციო შესაძლებლობებს დადებითი მიმართულება მისცენ. მათ უნდა მოახდინონ თავიანთი ამბიციების რეალიზება და მიაღწიონ საკომუნიკაციო წარმატებას. ამისათვის აუცილებელია: ქალი, როგორც ორატორი, იყოს დამაჯერებელი, მისი საუბარი იყოს გასაგები და მიღწეულ იქნას საკომუნიკაციო მიზანი; გადალახულ იქნას საკომუნიკაციო დაბრკოლებები; გამომუშავდეს აზრთა სწორად ფორმულირების ჩვევები; გამომუშავდეს სხვათა უკეთესად მოტივირების, სხვებზე ზეგავლენის მოხდენის უნარი; იყოს თამამი საუბრის დროს, აღმოაჩინოს საკუთარი ძლიერი მხარეები.

ქართული ენათმეცნიერება უმეტესად აღწერს მხოლოდ დამოკიდებულებას ინტენციებს, ენობრივ საშუალებებსა და მოსაუბრე პარტნიორზე ამ საშუალებათა შესაძლებელ ზემოქმედებას შორის და არა მათ კავშირს. მაგალითად, მოსაუბრე პარტნიორის საკომუნიკაციო სტრატეგია - „ლიმილი“ შეიძლება გაგებული იქნას, როგორც „არათავდაჯერებულობის“ ნიშანი, თუმცა ის აგრეთვე შეიძლება „თავდაჯერებულობის“ ნიშანიც იყოს, ანუ ის, თუ რა საკომუნიკაციო სტრატეგიას რა ენობრივი თუ არაენობრივი საშუალებებით გამოვხატავთ და რა ზემოქმედებას ახდენს ეს მსმენელზე, დამოკიდებულია მსმენელის ვარაუდებზე, აგრეთვე საკომუნიკაციო პირობებსა და სიტუაციაზე.

დღემდე ქართული ენათმეცნიერება არ შეხებია აგრეთვე მსმენელის ვარაუდისა და საკომუნიკაციო პირობების ურთიერთკავშირის საკითხს საკომუნიკაციო სიტუაციების ტიპოლოგიაში. რიტორიკის სახელმძღვანელოებიც ძირითადად შემოიფარგლება ცალკეული საკომუნიკაციო სიტუაციების რიტორიკული ანალიზით, არადა ქალებზე უფრო მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე მამაკაცებზე ის, თუ როგორი საუბრის მანერას მოეწონება მსმენელი მისგან, განსაკუთრებით მაშინ, როცა მსმენელები მოპირისპირე სქესია.

ქალთა ორატორული ხელოვნების სუსტი მხარეებია:

- წინასწარი ნეგატიური განწყობა საკუთარი მეტყველების უნარის მიმართ;
- ტიპური პრობლემები ხმისა და არტიკულაციასთან დაკავშირებით: ხმის სიმალლე, ძალიან მაღალი ბგერები, ძალიან ჩქარი მეტყველების ტემპი. ასევე ხშირად შეიმჩნევა ქალებში აღმავალი ინტონაცია წინადადების ბოლოს, ნაცვლად დაღმავალისა;

- ვერბალური და არავერბალური რეაქციები, რომლებშიც, ჩვეულებრივ, ქალების არათავდაჭერებულობა გამოიხატება.

მიუხედავად ამდენი პრობლემისა, მაინც შეიძლება გამოვეყოთ მთელი რიგი თვისებები, რომლებიც ხაზს უსვამენ ქალთა ორატორული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ძლიერ მხარეებს. მაგ.:

- ქალებს მამაკაცებთან შედარებით უფრო იშვიათად აქვთ მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები;

- მათი არტიკულაცია უფრო მკაფიოა, ისინი უფრო თავისუფლად მეტყველებენ;

- უფრო დიდი ლექსიკური მარაგი გააჩნიათ;

- ქალებს უფრო აქვთ გამომსახველობითი ფესტიკა და მიმიკა, ვიდრე მამაკაცებს.

არსებობს უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი იმისათვის, რომ არ შედგეს წარმატებული კომუნიკაცია. მჭევრმეტყველების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად ითვლება „საჯარო გამოსვლის შიში“. ხდება ხოლმე, ადვილად ვახერხებთ საკუთარი აზრის გადმოცემას ახლობლების გარემოცვაში ან მსმენელთა მცირე ჯგუფთან, იმავეს კი ვერ ვიმეორებთ ფართო აუდიტორიის წინაშე. აღნიშნული შიში აქვთ ქალებსაც და მამაკაცებსაც, თუმცა განსხვავებულია სქესის მიხედვით შიშის გამოვლენის ფორმები. ეს შიში ორატორზე შესაძლებელია იწვევდეს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ზეგავლენას, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მივუდგებით ამ პრობლემას.

„საჯარო გამოსვლის შიში“ - ეს სტრესული მდგომარეობაა, რომელიც აბრკოლებს აზროვნებისა და ქმედების უნარს. ერთ-ერთი გამოსავალია, არასოდეს ვიფიქროთ იმაზე, რომ მაგალითად: „არ უნდა გავწითლდე“, რადგან სტრესული მდგომარეობის დროს ნებისმიერმა „აკრძალვამ“ შეიძლება მიგვიყვანოს არასასურველ შედეგამდე.

შიშის გადასალახავად აუცილებელია მენტალური მომზადება ანუ ჩვენი აზრების მიზნობრივი მართვა.

ქალები, როგორც წესი, უმეტესად ფიქრობენ იმაზე, რა გამოუდით ცუდად. საკმარისია ერთი წარუმატებელი გამოსვლა მრავალ წარმატებულს შორის, რომ ეს მარცხი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მათ ორატორულ შესაძლებლობებზე. აუცილებელია მოახდინონ საკუთარ თავზე დადებითი გავლენა, იმუშაონ მხოლოდ პოზიტიური შემოქმედებით,

მაგალითად, იფიქრონ არა: „მე არ შემოძლია...“, არამედ „მე შემოძლია საუბარი...“, „ჩემი აზრი მნიშვნელოვანია“ და ა.შ.

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორია წინასწარი განწყობა მომავალი გამოსვლისადმი. პოზიტიური მოლოდინი, რეალისტური დამოკიდებულება სამომავლო მოხსენების მიმართ გვმატებს თავდაჯერებულობას, ძალას და ენერჯიას, რაც, თავის მხრივ, ხსნის დაძაბულობას.

მოხსენება უნდა იყოს არა მონოლოგი, არამედ დიალოგი, მაშინაც კი, როცა მხოლოდ ერთი საუბრობს, აუცილებელია მსმენელებთან ხედვითი კონტაქტი.

ფსიქოლოგების აზრით, ადამიანები იმახსოვრებენ 20% იმისას, რასაც აკუსტიკურად ისმენენ. ამასთანავე, ზრდასრულ ადამიანს შეუძლია მოხსენებაზე კონცენტრირება 45 წუთი, ანუ მოსმენა მოითხოვს ბევრ კონცენტრაციას. იმისათვის, რომ მოგვისმინონ, შეძლებისდაგვარად „მარტივად“ უნდა ვისაუბროთ, თავი ავარიდოთ ტერმინებს, გრძელ წინადადებებს, თორემ აუდიტორია „გამოირთვება“, უბრალოდ, ვეღარ ან აღარ მოგისმენს.

უცხო სიტყვების, ტერმინებისა და აბრევიატურების გამოყენება მოხსენებაში მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როცა მომხსენებელს აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ აუდიტორიას კარგად ესმის ისინი.

მოსწონს თუ არა მსმენელს საუბარი, ბევრადაა დამოკიდებული თავად ორატორზე. დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ შთაბეჭდილებას. უბრალოდ „მეგობრული ღიმილი“ შეიძლება კარგი წინაპირობა იყოს მსმენელებში დადებითი მუხტის შესაქმნელად.

მსმენელზე დადებითი ეფექტის მოსახდენად სასურველია ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული დაწერილ ტექსტზე.

არავგერბალური ენის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. არაფერია იმაზე უფრო მოსაწყენი, ვიდრე მონოტონურად წაკითხული მოხსენება. კარგი უესტიკა კარგ გავლენას ახდენს ორატორის სამეტყველო ხელოვნებაზე.

ორატორი უნდა საუბრობდეს ხმამაღლა და გარკვევით, მკაფიო და გასაგები წინადადებებით, ამასთან უნდა ჰქონდეს ხატოვანი მეტყველება. მნიშვნელოვანია ასევე, მომხსენებელმა საკუთარ თავს და მსმენელებსაც მისცეს შესვენების საშუალება. შედეგად მას ექნება დრო დასაფიქრებლად. შესვენებები ასევე კარგი საშუალებაა დაინტერესების გაზრდისა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმატებული მოხსენებისთვის ქალებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი კრიტერიუმები:

- ⇒ პროდუქტიული, მენტალური მომზადება
- ⇒ არანაირი ნეგატიური ფიქრები
- ⇒ მცირე სავარჯიშოები განტვირთვისათვის
- ⇒ კარგი პოზიცია
- ⇒ მზერიტი კონტაქტი
- ⇒ დაძაბულობის მოხსნა ამოსუნთქვით
- ⇒ თავდაჯერებულობა ნავარჯიშოები, ნაცადი რიტორიკული ტექნიკის გამოყენებით.

⇒ საუბრის წარმართვა ხმამაღლა და გარკვევით, მკაფიო და გასაგები წინადადებებით

- ⇒ ნაკლები დამოკიდებულება დაწერილ ტექსტთან
- ⇒ ზომიერი და კარგად შერჩეული ჯესტიკა და მიმიკა

ორატორული ხელოვნების დაუფლება შესაძლებელია, მხოლოდ საჭიროა მონდომება, საკუთარი კომუნიკაციური შესაძლებლობების რწმენა, სოციალური სქესისთვის სპეციფიკური ღირებულებების გაცნობიერება. საზოგადოებისათვის კი ნამდვილად პროგრესული ნაბიჯი იქნება გაითვალისწინება იმისა, თუ რას გრძნობს, რას განიცდის, რას აკეთებს და რას ამბობს ქალი. ქალთა შესაძლებლობების გამოვლენა საზოგადოებრივი განვითარების შემადგენელი ასპექტია, შესაბამისად, ყველასათვის საჭირო და აუცილებელი.

ლიტერატურა

- მ. გობიანი, 2006 - მ. გობიანი, ქალთა და მამაკაცთა ვერბალური ენის ინტერპრეტაცია სოციოლინგვისტიკაში: ჟურნ. ინტელექტი, 2(25), თბ., 2006.
 ზ. კიკვიძე, 1999 - ზ. კიკვიძე, თავაზიანობის გამომხატველი საშუალებების სოციოლინგვისტური ასპექტები, თბ., 1999.
 ნ. ლადარია, 2002 - ნ. ლადარია, სოციოლინგვისტიკა, თბ., 2002.
 Christiane Thim-Mabrey "Rhetoriken für Frauen", Tübingen, 2001,
 Gräbel U., "Sozialisation und Geschlecht", Pfaffennweiler, 1991.
 Löffler H., Soziolinguistische Kommunikationanalyse. In: Gerd Fritz „Handbuch Dialoganalyse“, Tübingen, 1995
 Oppermann K., Weber E., "Frauensprache-Männersprache" Orell Flüssli Verlag, Zürich, 1997.
 Veith H. Werner. Soziolinguistik, Gunter Narr Verlag, Tübingen, 2002.

MIRANDA GOBIANI, TINATIN MEBURISHVILI

SOCIO-LINGUISTIC AND PSYCHOLOGICAL ANALYSES OF THE WOMEN ORATORY

Socio-linguistics discusses language on society as the unity of different structures, studying the relationship between language systems and social structures. The language is dealt together with its extra-linguistic factors (gender, age, occupation, social status etc. and the influence of the latter on the language proper. It is noteworthy that the intersection or interaction of the extra-linguistic factors find deferent reflections in male and female speeches, that conditions the interests of linguists Gender linguistics.

The study of male and female verbal language has quite recently been laid the foundation, consequently, many of the questions that are discussed on the level of hypothesis demand for more precise definitions. The article discusses materials about the female speech habits and provides them with socio-linguistic and psychological comments and interpretations.